ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4585096

ნომერი: AR1693195

თარიღი : 10.07.2019

გაცემის თარიღი : 11.07.2019

გაცნობის თარიღი : 11.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 2ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხორბალაძე პ/ნ 01005033738
- თბილისი პ.სააკაძის ქ. N 67

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

სამსახურის მიერ 23/08/2016 წ. № 2791413 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით აღნიშნული ფართი წარმოადგენს ავტოსადგომს. იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელ ზონებში მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ სახლზე, ხოლო წარმოდგენილი ფოტომონტაჟით დგინდება, რომ ხდება ავტოფარეხის ფუნქციის ცვლილება, ვინაიდან ფასადის ვიზუალური მხარე არ შეესაბამება ავტოსადგომს, რითაც იზღუდება კორპუსისათვის მიკუთვნებული პარკინგის არეალის ფართობი. აღნიშნული გარემოებების გამო ავტოფარეხის რეკონსტრუქციის განხორციელება არამიზნობრივია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მიერ დაგეგმილ სამუშაოების (ავტოსადგომის რეკონსტრუქცია ფუნქციის ცვლილებით) განხორციელებას ვერ დაეთანხმება და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 10/07/2019 წლის AR1693195 განცხადება.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.